ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის

ანგარიში

01.01.2017-31.12.2017წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, განხორციელებას და მუნიციპალიტეტის ქონების მართვას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებლივი აქტების შესაბამისად. სამსახურის კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო. სამსახური საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, საჯაროობის, სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების, თავის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.

1. **სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ობიექტების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ**

განვლილ 2017 წელში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ქონების მართვის სააგენტოს მიერ გადმოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში კატეგორია ძირითადი ქონება ერთი ობიექტი, კატეგორია დამატებითი ქონება 10 ობიექტი.

ძირითადი ქონების სახით გადმოცემულა სახელმწიფოს მიერ წყალაფორეთის ადმინისტრაციული შენობა, რომელიც გამოყენებულია ფუნქციონალური დანიშნულებით.

დამატებითი ქონების სახით გადმოცემულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: სოფლებში ხუნევში, ბჟინევში, ჩრდილში (კაოთის უბანი), ჩრდილში (კოშკის უბანი), ზვარეში, ნებოძირსა და საქასრიაში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სოფლის განვითარების პროგრამით მასზე გაშენებული შენობა-ნაგებობებით, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა შენობა ნაგებობა სარიტუალო დარბაზის დანიშნულებით არის აგებული. აღნიშნულ დარბაზებს არ

მიეწოდებოდათ ელექტროენერგია, ფუნქციონირებს მათგან ნაწილი, მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული უძრავი ქონება გაიცეს იჯარით.

დამატებითი ქონების სახით მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა ლაშის ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა, რომელიც ნახევრად დანგრეულია და მასზე 2018 წლის პირველივე თვეში გამოცხადდება აუქციონი დემონტაჟის განხორციელების პირობით.

მუნიციპალიტეტს ასევე გადმოეცა სახელმწიფო ქონების სააგენტოს მიერ სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში აშენებული წისქვილები მდებარე სოფელ ვახანში და სოფელ ამაშუკეთში.

საჯარო რეესტრში განვახორციელეთ ექსპლოატაციაში მიღებული შენობების რეგისტრაცია: სოფელ ხიდარში სარიტუალო შენობა, რომელიც ელექტრონული აუქციონით იჯარით გაიცემა ფიზიკურ პირზე და საბის ბიბლიოთეკა, რომელიც აგებულია მუნიციპალიტეტის კუთვნილ კლუბის ეზოში.

თვითმმართველი ერთეულის მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დავარეგისტრირეთ სოფელ უჩამეთში 1725 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოყენებული იქნება ტურისტული ობიექტის გასათავსებლად. ასევე 60 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სოფელ მარელისში - საპრივატიზაციოდ.

სკვერის დანიშნულების 2 ობიექტი იქნა რეგისტრაციაში გატარებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 700 კვმ მიწის ფართზე სოფ. უბისაში მოეწყო სკვერი სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე /არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებით/ და 490 კვმ სკვერი ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც კეთილმოწყობის შემდეგ გამოყენებული იქნება ცენტრალური ბიბლიოთეკისა და ინოვაციების ცენტრის მიერ ღონისძიებების მოსაწყობათ.

განხორციელდა ექსპლოატაციაში მიღებული, ახლად გაშენებული გარე განათებების ხაზობრივი ნაგებობების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სოფლებში: ღარიხევი,ბაზალეთი, ლაშე,ზარანი, მარელისი.

ასევე განხორციელდა სოფელ წყალაფორეთში ჭაბურღილის რეგისტრაცია, სოფელ ფარცხნალში დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში წყალსადენის ტრასა , რეზერვუარი, წყლის შემკრები ნაგებობა და წყლის სათავე ნაგებობა.

განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნებოძირის ყოფილი კლუბის ტერიტორიის 690კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართისა და სოფელ ღორეშის ყოფილი საბავშვო ბაღის 779 კვმ ფართების დაზუსტება.

საჯარო რეესტრში, ორჯერ კორექტირება გაუკეთდა, სოფელ ფარცხნალში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს /დაფიქსირდა ზედდება საარქივო ჩანაწერებით კერძო მესაკუთრეებთან./

ზემოთ აღნიშნულ ობიექტებთან ერთად, პარალელურად წლის მანძილზე სხვადასხვა დროს, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 ერთეული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით მოთხოვილი გვქონდა ნებართვები ქონების სააგენტოდან, რაზედაც სხვადასხვა მიზეზების გამო მივიღეთ უარი. აქედან დაბაში საპრივატიზაციდ მოთხოვილი 53 კვმ მიწის ნაკვეთზე საგზაო დეპარტამენტიდან მივიღეთ უარი, დევებთან ვითხოვდით 2899კვმ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ტურისტული ობიექტის მოსაწყობად- უარი მივიღეთ საავტომობილო გზების სამინისტროდან-მიმდინარე გზის რეკონსტრუქციის პროექტის საზღვრებში ხვდება, სოფ. ბორში 15 კვმ მიწა -საძოვრის კატეგორიაა, მარელისში 206 და 1003 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მიზანშეწონილად არ ცნო ქონების სააგენტომ ნებართვის გაცემა, საღანძილეში 199 კვმ -რკინიგზის ზოლში მდებარე აღმოჩნდა, ასევე რკინიგზის ზოლში მდებარეობს ბეჟათუბანში 22760 კვმ მიწის ფართი, რომელიც მოვითხოვეთ ჩინური კომპანიისათვის ნარჩენი ქანების გასათავსებლად და რაზედაც მივიღეთ უარი.

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს მთავრობის დადგენილება #189 2014 წლის 20 თებერვალი კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის მიხედვით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახდენს საკუთრების უფლების აღიარებას, კერძოდ 2017 წლის განმავლობაში სრულყოფილი დოკუმენტაციით მოგვმართა მუნიციპალიტეტის 7 მოქალაქემ, რომლებსაც ამ დადგენილებით განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ, სოფელ დიდვაკეში, სოფელ მოლითში და სოლომონ მეფის ქ # 15 -ში მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით საკუთრებაში გადაეცათ, ხოლო შემდგომ აღნიშნული ბრძანებით მოხდა საჯარო რეესტრში ქონების დარეგისტრირება.

3. სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზურფრუქტი და თხოვების წესით ქონების გადაცემა.

2017 წელს სასრგებლობის უფლებით უსასყიდლო უზურფრუქტი მუნიციპალიტეტმა განახორციელა შემდეგი ქონების გადაცემა:

1. ააიპ ,, სათნოების სახლი“ არსებობის ვადით გადაეცა 9 აპრილის ქ # 5-ში შენობა ნაგებობა ფართით 85 კვ;
2. ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ლურსმანაშვილის ბიუროს- 2 წლით ს.მეფის ქ# 61 ა-ში მე-2 სართულზე 75 კვ;
3. ააიპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანება-არსებობის ვადით, სოფელ ღორეშაში, სოფელ წიფაში და სოფელ ნადაბურში ახლად აშენებული საბავშვო ბაღები;
4. ააიპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი-არსებობის ვადით სოფელ ვერტყვიჭალაში კლუბის მეორე სართულზე 1 ოთახი 36კვ;
5. ააიპ ,,ხალხური შემოქმედების სახლი“ -2 წლის ვადით რ.დეკანოსიძის ქ#5 215 კვ (ყოფილი სასამართლოს შენობა);
6. აღსრულების ეროვნული ბიურო -არსებობის ვადით დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის 19ა,ყოფილი პოლიციის შენობა, 1 ოთახი;
7. ააიპ ,, ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა“ -არსებობის ვადით 490კვ მიწის ნაკვეთი,დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქ# 50;

თხოვების წესით 2017 წელს:

1. ააიპ ,,ხარაგაულდასუფთავებას“ ორი ერთეული ნაგავმზიდი ავტომანქანა არსებობის ვადით;
2. საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდს-ავტომანქანა ნივა 2 წლის ვადით;

3. ააიპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობა“ ავტომანქანა უაზ სახელმწიფო ნომრით LEO 634.
4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მოსაკრებელი ოდენობას არეგულირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #16.რომელიც მიღებული იქნა 2015 წლის 6 აპრილს.სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.128.016217.

4.ადგილობრივი მოსაკრებლები

მოგახსენებთ, რომ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური ვალდებულია ამოიღოს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის დაწესებული მოსაკრებლი და უზრუნველყოს პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების გეგმის შესრულება.

2017 წელს ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იურიდიული პირებიდან მოსაკრებელის ამოღება მოხდა გადაჭარბებით. **კერძოდ, დაგეგმილი 20 000 (ოციათასი) ლარის ნაცვლად მოხდა 42.6 ათასი ლარის ამოღება. გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით 213 %.** აღსანიშნავია რომ 2017 წელს მიღებული ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის აღემატება 2016, 2015 და 2014 წლის მოსაკრებელის ოდენობას ჯამში.



ცხრილი #1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დასუფთავების მოსაკრებლის ხელშეკრულებებიდან შემოსული თანხების შესახებ.

სიახლე იყო 2017 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **სარიტუალო დარბაზების იჯარის ფორმით გაცემა.** მოგახსენებთ, რომ იჯარით გაცემულ ქონების მოვლა პატრონობაზე პასუხისმგებელია მოიჯარე, რაც უზრუნველყოფს ქონების შენახვას, მოვლა პატრონობას იჯარის პერიოდის განმავლობაში.

2017 წელს იჯარის ფორმით მოიჯარეებს გადაეცათ სოფელ ბორითში (ვადა 3 წელი) და სოფელ ღორეშაში (ვადა 2 წელი) მდებარე სარიტუალო დარბაზი, იჯარის თანხა სოფელ ბორითში 274 ლარი და სოფელ ღორეშაში 171 ლარი, რაც ჯამში წლიურად უდრის 5340 ლარს.

სულ შემოსავალი მიწის და შენობა ნაგებობების იჯარიდან 2017 წელს შეადგინა 40 000 ლარმა და გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 159.6 % -ით. მეტობამ იჯარის შემოსავლებიდან 2016 წელთან შედარებით შეადგინა 10 000 ლარი.



ცხრილი #2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის იჯარებიდან შემოსული თანხების შესახებ.

იჯარა წარმოადგენს მუნიციპალური ბიუჯეტის სტაბილურ შემოსავალს და ეკონომიკის სამსახური ამ მხრივ აგრძელებს მუშაობას, რათა მოხდეს მუნიციპალიეტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით გაცემა.

5. **პრივატიზებული ობიექტები.**

2017 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 14 ჯერ ელექტრონული აუქციონის წესით გაასხვისა უძრავი თუ მოძრავი ქონება, ინფორმაცია გასხვისებული ქონების შესახებ იხ.დანართში.

სულ 2017 წელს მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოს მიერ გასხვისებული **აქტივებიდან შემოვიდა 95.9 ათასი ლარი;** (დანართი #1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამართული აუქციონი 2017 წელი.)

6. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს საქართველოს რკინიგზას შორის მიღწეული შეთანხმება.**

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს რკინიგზა ახორციელებს თბილისი-მახინჯაურის სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტს. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული რკინიგზის მარშრუტი გადის ხარაგაულის რაიონის სოფ. ანეულას მიდამოებში. პროექტის ფარგლებში სარკინიგზო ხიდის მშენებლობის მიზნით, საქართველოს რკინიგზამ მოითხოვა სოფელ ანეულაში მდებარე სარიტუალო დარბაზის დემონტაჟი. მოგახსენებთ, რომ სოფ. ანეულაში სარიტუალო დარბაზი აშენდა 2007 წელს, ადგილობრივი მაცხოვრებლის (კერძო) ტერიტორიაზე რის გამოც წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში მუნიციპალურ ქონებად. მუნიციაპლიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის და საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლებს შორის მიღწეული მოლაპარაკებების შემდეგ, მოვითხოვეთ დარბაზის აუდიტორული შეფასება ღირებულების დადგენის მიზნით, რომელიც თავდაპირველად შეფასდა 40 000 (ორმოციათასი) ლარად. განმეორებით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებით 60 000 (სამოცი ათას) ლარად. (ჩაირიცხა მუნიციპალიტეტის ანგარიშზე). ასევე მიღწეული შეთანხმებით, აღნიშნული სარიტუალო დარბაზის დემონტაჟი შეასრულა მუნიციპალიტეტის მერიამ და მოხდა სამშენებლო მასალების მერიის საკუთრებაში დატოვება.

7. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა 2018-2022 წ.**

საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი საქართველოს კანონი ,,ნარჩენების მართვის კოდექსი“ 2015 წლის 20 ივნისს, რომლის მეშვეობით საქართველოს მთავრობა ისწრაფვის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გააუმჯობესოს

ნარჩენების მართვის პრაქტიკა მაღალი საპროექტო და საოპერაციო სტანდარტების დაწესებით, ანუ სტანდარტებისა, რომლებიც მიღებულია ევროკავშირის ქვეყნებში. ამ ამოცანის განხორციელების მხარდამჭერი ფაქტია ის, რომ საქართველომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით (რომელსაც 2014 წლის ივნისში მოეწერა ხელი) იკისრა ვალდებულება, ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მოიყვანოს ქვეყანაში მოქმედი ნარჩენების მართვის პრაქტიკა. აღნიშნული კანონით ადგილობრივ თვითმმართველობებს დაევალათ თავიანთ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ 2017 წელს ერთ-ერთმა პირველმა შეადგინა ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის დადგენილებით დამტკიცებულ ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიას 2016-2030 წლების და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2016-2020 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

ჯაბა ბერაძე